ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №18

26 იანვარი, 2023 წელი
15:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე და ნათია მოდებაძე.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

მოწვეული სტუმრები:
1. ნინო რუხაძე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრი;
2. რიტა ხიდირბეგიშვილი – თბილისის საკრებულოსთან არსებული ეროვნული უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე;
3. ია ნანობაშვილი – კანცელარიის უფროსი სომხეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში;
4. ეკატერინე მაჩიტიძე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის 06/0322364100-03; 30.12.2022 განხილვა (არამ ხაჩატურიანის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ).

მომხსენებელი: ანა სააკიანი
თანამდებობა: სომხეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში – მრჩეველი

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი.**

კახაბერ ლაბუჩიძემ კომისიის წევრებს გააცნო განათლებისა და კულტურის კომისიაში წარმოდგენილი წერილი, რომელიც შეეხებოდა არამ ხაჩატურიანის მემორიალური დაფის განთავსების საკითხს. თავმჯდომარემ კომისიის წევრებსა და განმცხადებლის წარმომადგენელს განუმარტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების სამართლებრივი პროცედურები, კერძოდ აღნიშნა, რომ თბილისის

ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობს თბილისის მერის მიერ შექმნილი კომისია. საკითხის ინიციირებისთვის დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს თბილისის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა; მესაკუთრის თანხმობა; მემორიალური დაფის განთავსების შესახებ რეკომენდაცია შესაბამისი უწყებებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ მემორიალური დაფის განთავსება მოთხოვნილია იმ შენობა/ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, განმცხადებელმა სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.

კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, არამ ხაჩატურიანის როლი საბალეტო მუსიკის განვითარებაში ფასდაუდებელია. აღსანიშნავია, რომ იგი იყო თბილისში დაბადებული, ქართულ-სომხური და ქალაქური მუსიკალური ფოლკლორით ნასაზრდოები მე-20 საუკუნის გენიალური კომპოზიტორი, რომლის ოჯახი მისი ბავშვობის პირველსავე წლებში კოჯრიდან გადმოვიდა თბილისში და დასახლდა დიმიტრი უზნაძის ქუჩაზე. არამ ხაჩატურიანი ხშირად სტუმრობდა თბილისს და მართავდა კონცერტებს; მოსკოვში ცხოვრების მიუხედავად, არასდროს არ გაუწყვიტავს კავშირი თბილისთან და საქართველოსთან. კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ამონარიდი არამ ხაჩატურიანის ერთ-ერთი ინტერვიუდან: „დამეთანხმებით ყოველი ადამიანისთვის სასიხარულო და სასიამოვნოა იმ ქალაქში ხშირად ჩასვლა, სტუმრობა, სადაც იგი დაიბადა და ჭაბუკობა გაატარა, საიდანაც გამოვიდა დიდი ცხოვრების გზაზე. ასეთი ქალაქი ჩემთვის თბილისია, ჩემი მშობლიური ქალაქი. დიახ, მე თბილისში, კოჯორში დავიბადე, მაგრამ ეს როდია მთავარი და ყველაფერი, როგორც მომავალი კომპოზიტორისთვის, ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ თბილისში ვეზიარე ჭეშმარიტ მუსიკას. აქ ჩაისახა და გაღვივდა სიყვარული მუსიკისა“.

კომპოზიტორის ბიოგრაფიის შესახებ ისაუბრა ანა სააკიანმა, რომლის განცხადებით არამ ხაჩატურიანი დაიბადა ქ. თბილისში. თავდაპირველი მუსიკალური განათლება მიიღო მოსკოვში, გნესინების სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1929 წელს, შემდეგ მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიაში (1934); დიდი წარმატება ხვდა მის პირველ სიმფონიას (1934), ფართო აღიარება მოუპოვა მას საფორტეპიანო (1936) და განსაკუთრებით სავიოლინო (1940) კონცერტებმა; ომის წლებში მან შექმნა ცნობილი ნაწარმოებები: მე-2 სიმფონია (1943), ბალეტი „გაიანე“ (1942), ხოლო შემდგომ წლებში კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისთვის (1946), ბალეტი „სპარტაკი“ (1954); 60-იან წლებში დაწერა კონცერტ-რაფსოდიები ვიოლინოს (1961), ჩელოსა(1936) და ფორტეპიანოსთვის(1968). არამ ხაჩატურიანს დაწერილი აქვს მუსიკა სპექტაკლების (ლერმონტოვის „მასკარადი“, აქედან ცნობილია „ვალსი“) და კინოფილმებისთვის („პეპო“); მისი ნაწარმოებები გამოირჩევა ფერთა სიუხვით, ემოციურობით, მუსიკალური ენის თვითმყოფადობით; სომხურ ხალხურ მუსიკასთან ერთად, მის მუსიკაზე გავლენა იქონია თბილისურმა ქალაქურმა ფოლკლორმა; სერგეი პროკოპიევთან და დიმიტრი შოსტაკოვიჩთან ერთად საბჭოთა მუსიკის ერთ-ერთ „ტიტანად“ მიიჩნევა. არამ ხაჩატურიანი 1950 წლიდან ასწავლიდა მოსკოვის კონსერვატორიაში და გნესინების სახელობის ინსტიტუტში, 1951 წლიდან იყო პროფესორი; მისი აღზრდილები არიან: ა. ეშპაო, ე. ოგანესიანი, მ. ტარივერდიევი, ნ. გაბუნია, ა. ვიერუ

(რუმინეთი); მან დიდი გავლენა მოახდინა სომეხი და „საბჭოთა აღმოსავლეთის“ კომპოზიტორების შემოქმედებაზე; არაერთგზის აქვს გამართული საავტორო კონცერტი თბილისში. არამ ხაჩატურიანი იყო საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირის წევრი. ანა სააკიანის განმარტებით, სომხეთის რესპუბლიკის საელჩოს საქართველოში სურს არამ ხაჩატურიანის 120 წლის იუბილესთან დაკავშირებით სამენოვანი მემორიალური დაფის განთავსება იმ სახლის ფასადზე, სადაც დიდი ხელოვანი 1906-1922 წლებში ცხოვრობდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მისამართზე განთავსებული დაფა მხოლოდ ერთენოვანია და ისიც მოძველებული, რის გამოც აუცილებელია მისი შეცვლა, რაც ტურისტული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. ანა სააკიანმა დამატებით აღნიშნა, რომ მემორიალური დაფის დამზადებასთან და განთავსებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სომხეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში და ქალაქ ერევნის არამ ხაჩატურიანის სახლ-მუზეუმი.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
ზურაბ ჩიკვილაძემ, ნინო რუხაძემ და რიტა ხიდირბეგიშვილმა.

ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, რომ მიესალმება განცხადებაში დასმული საკითხის აღსრულებას და მხარს უჭერს არამ ხაჩატურიანის სამენოვანი მემორიალური დაფების განთავსებას. შესაძლებელია რაიონებთან მჭიდრო, კოორდინირებული თანამშრომლობით უფრო გამარტივდეს და დაიხვეწოს მემორიალური დაფების განთავსების პროცესი.

ნინო რუხაძემ და რიტა ხიდირბეგიშვილმა მადლობა გადაუხადეს კომისიის თავმჯდომარეს, კომისიის წევრებს, პროცესში ჩართულ პირებს საკითხზე დროული რეაგირებისთვის და მხარდაჭერისთვის.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება დადებითი რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს არამ ხაჩატურიანის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა